საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა №99-ში (საკადასტრო კოდი: 01.10.08.005.195) მდებარე მიწის ნაკვეთზე დაგეგმარებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის — შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნა ეხება უკვე შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტში განხორციელებულ ცვლილებებს, რომლებიც ითვალისწინებს შემდეგ ძირითად კორექტირებებს:

- **ფუნქციური გადანაწილების ცვლილება:** დაკორექტირდა ფუნქციების სართულებზე გადანაწილება. კერძოდ, საცხოვრებელი ფუნქციის წილი შეადგენს 89.6%-ს, ხოლო საზოგადოებრივი ფუნქციისა — 10.36%-ს (საიდანაც 8.85% კომერციულ, ხოლო 1.51% საოფისე ფართობს უჭირავს).
- **საცხოვრებელი ერთეულების კორექტირება:** შეიცვალა სართულებზე ბინების კონტურები და მათი რაოდენობა. 91 ბინის ნაცვლად, საპროექტო შენობაში გათვალისწინებულია 127 საცხოვრებელი ერთეული. დამატებით, პროექტში ინტეგრირდა „ა“ ტიპის საცხოვრებელი ერთეულები, რომლებიც განთავსდა +14.00, +17.70 და +21.00 ნიშნულებზე.
- **ავტოსადგომებისა და სასაწყობე სივრცეების ოპტიმიზაცია:** ავტოსადგომის სართულებზე ინტეგრირდა ახალი სასაწყობე ფართობები, რის შედეგადაც დაკორექტირდა №29 და №6 ავტოსადგომების ზომები. ამასთან, -3.00 ნიშნულზე დაემატა 1 ავტოსადგომი, რამაც გამოიწვია ნუმერაციის შეცვლა; საერთო ჯამში, დაკორექტირებული პროექტით 48-ის ნაცვლად გათვალისწინებულია 49 საავტომობილო სადგომი.

დამკვეთი	შპს „ნიუ მაქს“, ს/კ: 404957579
ექსპერტი	გიორგი ლოთიშვილი
ექსპერტიზის თარიღი	02.09.2026

დასკვნის გამოყენების წესები:

- წინამდებარე საექსპერტო დასკვნა შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის — შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ მოთხოვნებთან პროექტის შესაბამისობის შეფასებით და არ ეხება სხვა რაიმე ნორმატიულ თუ ინდივიდუალურ აქტებთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინოლოგია შეესაბამება „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში“ გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების მიხედვით.
- საპროექტო ობიექტის შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ წარმოდგენილ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით. არქიტექტურულ პროექტში, ისევე როგორც მშენებლობის პროცესში ან ექსპლუატაციის შემდგომ ეტაპზე განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება, რომელიც არ იქნება შეთანხმებული ექსპერტთან, ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას.
- არქიტექტურულ პროექტში ისეთი ცვლილების შეტანა, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის რომელიმე ნაწილთან, სავალდებულოა წესით უნდა შეთანხმდეს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის უშუალო განხორციელებაზე ან/და მშენებლობისა თუ ექსპლუატაციის პროცესში პროექტიდან გადახვევაზე.
- ექსპერტიზისთვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და რეალობასთან შესაბამისობაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მომწოდებელ მხარეს.

ექსპერტიზისთვის წარმოდგენილი მასალის ჩამონათვალი:

- განმარტებითი ბარათი;
- შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზი;
- პირობითი აღნიშვნები;
- გენგეგმა;
- დასაგეგმარებელი შენობის ყველა სართულის გეგმა;
- დასაგეგმარებელი შენობის ფასადები;
- დასაგეგმარებელი შენობის ჭრილები;
- გზა-კიბის დეტალური ნახაზები;
- აივნის მოაჯირის დეტალური ნახაზები;
- ლიფტის შახტისა და კაბინის დეტალიზაცია;
- პანდუსის დეტალური ნახაზები;
- გარე კედლების დეტალური ნახაზები;
- სახურავის ანაწყობის დეტალური ნახაზები;
- კარის დეტალური ნახაზები;

- კონსტრუქციული ტიპის დეტალები;
- წყალსადენი მოწყობილობების დეტალური ნახაზები;
- ნიშნების დეტალური ნახაზები.

პროექტის ზოგადი აღწერილობა:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, მირიან მეფის ქუჩა №99-ში. იგი წარმოადგენს საკადასტრო კოდით: 01.10.08.005.195 რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს. საპროექტო მიწის ნაკვეთზე გაცემულია განაშენიანების რეგულირების გეგმის (გაპი) ბრძანება №6672791 (22/09/2023).

მიწის ნაკვეთის საერთო ფართობია 2653 კვ.მ. საპროექტო მიწის ნაკვეთს დასავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხიდან ესაზღვრება საზოგადოებრივი გზა. მიწის ნაკვეთი გამოირჩევა მცირე რელიეფურობით, სადაც დონეთა სხვაობა 3 მეტრს აღწევს.

წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით გათვალისწინებულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

დასაგეგმარებელი შენობის მიწის დონე განისაზღვრა ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად და წინამდებარე დასკვნაში სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით მოხდა მიწის დონის ქვედა და მიწის დონის ზედა სართულების დაყოფა.

შენობის ფუნქციური დანიშნულებები სართულებზე გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- მიწის დონის ქვედა -2 (-6.00) სართული — დახურული ავტოსადგომი და საწყობები;
- მიწის დონის ქვედა -1 (-3.00) სართული — დახურული ავტოსადგომი, ავტოსაშხეფის ტუმბო, ავზი და საწყობი;
- მიწის დონის ზედა, მიწისპირა +1 (0.00) სართული — ორი სავაჭრო ფართობი და ხანძრის მართვის ცენტრის ოთახი;
- მიწის დონის ზედა +2 (+4.50) სართული — საოფისე ფართობები და ხანგრძლივი საცხოვრებელი ერთეულები (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი);
- მიწის დონის ზედა +3 (+7.80) – +17 (+54.00) სართულები — ხანგრძლივი საცხოვრებელი ერთეულები (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი);
- +57.30 ნიშნული — სახურავი.

დასაგეგმარებელი შენობის ყველა ნაწილი სრულად მისაწვდომია შშმ პირთათვის. მისაწვდომობასთან დაკავშირებული დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნაში, აგრეთვე დასკვნაზე თანდართულ, „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ საფუძველზე განხორციელებულ შეფასებაში.

საპროექტო შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის თანამედროვე სისტემებით. ყველა სართულზე გათვალისწინებულია: ავტოსაშხეფი სისტემა, სახანძრო მილდგარების სისტემა, კვამლაღმომჩენები, სახანძრო განგაშის სისტემა, კვამლის საკონტროლო სისტემა და ხელის ცეცხლმაქრები.

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია სულ მცირე 2 საათით, ხოლო სხვადასხვა ანაწყობებთან მიმართებაში

სრულადაა დაცული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები, რომელთა შესახებ დეტალური ანალიზი მოცემულია წინამდებარე დასკვნის მე-5 თავში.

1. გამოყენების და დაკავებულობის კლასიფიცირების შეფასება:

- **შენობის თითოეული ნაწილი, მისი დაკავებულობისა და გამოყენების სპეციფიკის მიხედვით, კლასიფიცირებულია 302-ე ქვეთავის შესაბამისად.**
- **შენობაში გათვალისწინებულია შემდეგი დაკავებულობის ჯგუფები:**
  - **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2** (საცხოვრებელი ბინები / მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი) +2-დან +17 სართულების ჩათვლით — შეესაბამება 310.4 ქვეთავს. აღნიშნული ქვეთავის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება საცხოვრებელი ერთეულები, უმთავრესად ხანგრძლივად დამკავებელთათვის. ეს ჯგუფი მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს.
  - **სავაჭრო ჯგუფი სვ** (კომერციული ფართი / მაღაზია) +1 სართულზე — შეესაბამება 309.1 ქვეთავს. აღნიშნული ქვეთავის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები ან მათი ნაწილები, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, აგრეთვე განთავსებულია საზოგადოებისთვის მისაწვდომი ნაკეთობებისა და სავაჭრო საქონლის მარაგი.
  - **საქმიანი ჯგუფი სქ** (საოფისე ფართობები) +2 სართულზე — შეესაბამება 304.1 ქვეთავს. აღნიშნული ქვეთავის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება სივრცეები პროფესიული მომსახურებებისთვის.
  - **მცირე საფრთხის შემცველი სასაწყობო ჯგუფი სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი და სასაწყობე ფართობები) -2 და -1 სართულებზე — შეესაბამება 311.3 ქვეთავს. აღნიშნული ქვეთავის თანახმად, ამ ჯგუფს განეკუთვნება შენობები (ფართობები), სადაც არაწვადი მასალები ინახება და სადაც განთავსებულია ავტოსადგომი.
  - **საშუალო საფრთხის შემცველი საქარხნო-სამრეწველო ჯგუფი სმ-1** (ავტოსაშხეფი სისტემის ტუმბოს, ავზის ოთახები და ხანძრის მართვის ცენტრის ოთახი) -1 და +1 სართულებზე — შეესაბამება 306.2 ქვეთავს. ავტოსაშხეფი სისტემის ტუმბოსა და ავზის ოთახებში განთავსებული დანადგარები წარმოქმნის სისტემისთვის საჭირო წყლის წნევას, რის გამოც აღნიშნული ტექნიკური სივრცეები კლასიფიცირებულია სმ-1 ჯგუფად.
- **თითოეული სივრცისთვის მინიჭებული დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი შეესაბამება 1004.1.2 ცხრილს:**
  - საცხოვრებელი ფართობებისთვის — 18.6 (მთლიანი)
  - ოფისებისთვის — 9.3 (მთლიანი)
  - ავზისა და დანადგარების ოთახებისთვის — 27.9 (მთლიანი)
  - საწყობისთვის — 46.5 (მთლიანი)
  - სავაჭრო ფართობებისთვის — 2.8 (მთლიანი)
  - ავტოსადგომებისთვის — 18.6 (მთლიანი)

- ზემოაღნიშნული ფაქტორების მიხედვით გამოთვლილია დაკავებულობის დატვირთვა (იატაკის ფართობი გაყოფილია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორზე). გეგმებზე დატანილი თითოეული სივრცის დაკავებულობის დატვირთვის გაანგარიშება შესრულებულია კორექტულად.

2. შენობის ზოგადი სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

- საპროექტო შენობის მიწის დონის ზედა და ქვედა სართულების, აგრეთვე შენობის საერთო სიმაღლის განსაზღვრის მიზნით, დადგინდა მიწის დონე, რომელიც გამოთვლილ იქნა შენობასა და მიწის ნაკვეთის საზღვარს შორის 1.8 მ-მდე ფარგლებში მოქცეული ფართობის ყველაზე დაბალი ნიშნულების მიხედვით.
- საპროექტო შენობის სიმაღლე მიწის დონიდან აღემატება 48.8 მეტრს და შენობაში განთავსებულია მიწის დონის ქვედა 2 და მიწის დონის ზედა 17 სართული.
- სართულებზე დაკავებულობის ჯგუფები გადანაწილებულია შემდეგი სახით:
  - მიწის დონის ქვედა -2 (-6.00) სართული — დახურული ავტოსადგომი და საწყობები;
  - მიწის დონის ქვედა -1 (-3.00) სართული — დახურული ავტოსადგომი, ავტოსაშხეფის ტუმბო, ავზი და საწყობი;
  - მიწის დონის ზედა, მიწისპირა +1 (0.00) სართული — ორი სავაჭრო ფართობი და ხანძრის მართვის ცენტრის ოთახი;
  - მიწის დონის ზედა +2 (+4.50) სართული — საოფისე ფართობები და ხანგრძლივი საცხოვრებელი ერთეულები (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი);
  - მიწის დონის ზედა +3 (+7.80) – +17 (+54.00) სართულები — ხანგრძლივი საცხოვრებელი ერთეულები (მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი);
  - +57.30 ნიშნული — სახურავი.
- საპროექტო შენობა სრულად შეესაბამება 503-ე ცხრილს — თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფის, ფართობის, სართულიანობის, სიმაღლისა და კონსტრუქციის ტიპის მიხედვით.

3. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- საპროექტო შენობის კონსტრუქციის ტიპი **(I-A)**, შენობის სიმაღლის, სართულიანობის, დაკავებულობის ჯგუფისა და თითოეულ სართულზე დაკავებულობის ჯგუფების ფართობის გათვალისწინებით, შერჩეულია სწორად. I-A ტიპის კონსტრუქციული ელემენტებისადმი მოთხოვნები განისაზღვრება 601-ე ქვეთავის შესაბამისად. არქიტექტურული პროექტის ხანძარსაწინააღმდეგო ნაწილში ასახულია ამ კონსტრუქციული ელემენტების მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხებთან შესაბამისობა, რაც დამატებით დაზუსტდება კონსტრუქციულ პროექტში.

- შენობის ძირითადი სტრუქტურული ჩარჩოს, მზიდი კედლების, იატაკის კონსტრუქციისა და არაძირითადი ნაწილების, ასევე სახურავის კონსტრუქციისა და მისი არაძირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის მინიმალური ხარისხი შეესაბამება 601-ე ცხრილის მოთხოვნებს. შენობის აღნიშნული ელემენტების, კომპონენტებისა და ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხები განსაზღვრულია 721-ე ქვეთავის მიხედვით:
  - ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო — 3 სთ.
  - იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები — 2 სთ.
  - სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები — 2 სთ.
- რაც შეეხება შენობის გარე არამზიდ კედლებს, პროექტით სრულად არის დაცული ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები, რაც შეესაბამება 602-ე ცხრილის დებულებებს.

4. ცეცხლისა და კვამლისგან დაცვის საშუალებების შეფასება:

- აივნები და მსგავსი ტიპის ნაშვერები, რომლებიც გარე კედლის მიღმა გრძელდება, არ უახლოვდება ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის ასათვლელ ხაზს 705.2 ცხრილში მითითებულ მაქსიმალურ დასაშვებ მანძილზე მეტად. რაც შეეხება ნაშვერების 1406-ე ქვეთავთან შესაბამისობის საკითხს: აივნები არ არის დამზადებული წვადი მასალებისგან, შესაბამისად, აღნიშნული ქვეთავის მოთხოვნები ასეთ დეტალებზე არ ვრცელდება.
- გარე კედლებში არსებული ღიობების შვეული გამიჯვნა საპროექტო შენობას არ მოეთხოვება, 705.8.5 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის შესაბამისად, რადგან შენობა სრულად არის აღჭურვილი 903.3.1.1 ქვეთავით განსაზღვრული ავტოსაშხეფი სისტემით.
- გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილისა და ღიობის დაცვის ხარისხის მიხედვით, შეესაბამება 705.8 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობას გააჩნია პარაპეტი, თუმცა 705.11 ქვეთავის მე-3 გამონაკლისის თანახმად, შენობას პარაპეტები არ ესაჭიროება, რადგან სახურავის ანაწყობი 2-საათიანი ცეცხლმედეგობისაა და მასში არ არის გამოყენებული წვადი მასალები.
- შახტებისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 2 საათს, რაც სრულად შეესაბამება 707.3.1, 713.2 და 713.4 ქვეთავების მოთხოვნებს.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბისგან შენობის ფართობების გამმიჯნავი კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ზღუდეებს, რომელთა ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათია, რაც შეესაბამება 707.3.2 და 1022.2 ქვეთავების მოთხოვნებს.
- დაკავებულობების აუცილებელი გამიჯვნა შეესაბამება 508.4 ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობის შემადგენელი ნაწილები სათანადოდ არის დაყოფილი ცეცხლისგან დაცულ ფართობებად, სახანძრო უსაფრთხოების კუთხით ურთიერთდაცულ ნაწილებად ფორმირების მიზნით. თითოეული სართული დაყოფილია ცეცხლისგან დაცულ ფართობად და ასეთი სახის გამიჯვნა უზრუნველყოფილია 707.3.10 ცხრილის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

- აღსანიშნავია, რომ ვინაიდან გარე კედლები აუცილებელი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შახტებისა და გზა-კიბის შემომზღუდავის ნაწილს წარმოადგენს, ისინი უნდა აკმაყოფილებდეს გარე კედლებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ხოლო ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე შემომზღუდავთან დაკავშირებული მოთხოვნები ამ შემთხვევაში აღარ გამოიყენება, 707.4 ქვეთავის თანახმად.
- ღიობების საერთო სიგანე არ იზღუდება კედლის სიგრძის 25%-მდე, ვინაიდან ღიობის დამცავი წარმოადგენს ცეცხლმედეგ კარს, რომელიც შიგა გასასვლელის გზა-კიბის შემომზღუდავებს ემსახურება (707.6 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის თანახმად).
- საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულების გამმიჯნავი კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რაც აკმაყოფილებს 708.1 და 420.2 ქვეთავების მოთხოვნებს. ასეთი ტიხრების ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 1 საათს, 708.3 ქვეთავის თანახმად.
- საცხოვრებელი და საძინებელი ერთეულების მომსახურე დერეფნის კედლები წარმოადგენს ცეცხლმედეგ ტიხრებს, რომელთა ცეცხლმედეგობა უტოლდება 1 საათს. ეს მაჩვენებელი აკმაყოფილებს და აღემატება კიდეც 708.1 ქვეთავისა და 1018.1 ცხრილის მოთხოვნებს.
- თარაზულ ანაწყობში არსებული ყველა შვეული ღიობი მთლიანად მოქცეულია შახტის შემომზღუდავში, რაც შეესაბამება 712.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- კარის ღიობის ცეცხლისგან დამცავი ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 716.5 ცხრილის შესაბამისად.

5. ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების შეფასება:

ავტოსაშხეფი სისტემა:

- 403.3, 903.2.7.1, 903.2.8 და 903.2.11.1 ქვეთავების თანახმად, საპროექტო შენობა და მისი ყველა დაკავებული სივრცე სრულად არის აღჭურვილი ავტოსაშხეფი სისტემით.

სახანძრო მილდგარების სისტემა:

- 905.3.1 ქვეთავის თანახმად, III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემები უნდა დამონტაჟდეს მთელ შენობაში, თუ ყველაზე მაღალი სართულის იატაკის დონე 9.0 მეტრით ზემოთაა სახანძრო ავტომობილის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან. საპროექტო დოკუმენტაციით, მილდგარები შენობაში სრულყოფილად არის გათვალისწინებული.

905.4 და 905.6 ქვეთავების თანახმად:

- გზა-კიბეზე სახელოს მისაერთებელი უნდა მდებარეობდეს მიწის დონის ზემოთ და ქვემოთ ყოველი იატაკის დონეზე. სახელოს მისაერთებლები უნდა განთავსდეს იატაკებს შორის არსებულ შუალედურ დონეზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სხვაგვარად არ არის შეთანხმებული სახანძრო-სამაშველო დანაყოფთან. წარმოდგენილი პროექტით, III კლასის მილდგარები განთავსებულია გზა-კიბეების საზღვრებში, შუალედურ დონეზე არსებულ ბაქნებზე.
- მისაერთებელი უნდა განთავსდეს გზა-კიბის ყველაზე მაღალ ბაქანთან, რომელიც კიბით უკავშირდება სახურავს. ეს მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია — III კლასის მილდგარი განთავსებულია სახურავზე გასასვლელთან არსებულ ბაქანზე.

III კლასის სისტემა უზრუნველყოფს როგორც შენობაში მყოფ პირთა თავდაპირველ რეაგირებას, ისე სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მიერ ძლიერი ჭავლის გამოყენებას.

905.5 და 905.6 ქვეთავების თანახმად:

- III კლასის სახანძრო მილდგარების სახელოს მისაერთებლები უნდა იყოს ადვილად მისადგომი და ისე განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი მოექცეს 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9.0 მ-ის საზღვრებში. აღნიშნული მოთხოვნა წარმოდგენილი პროექტით სრულად არის დაცული. III კლასის სახანძრო მილდგარები საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინების სართულებზე, საერთო სარგებლობის დერეფნების საზღვრებსა და შემოზღუდული ავტოსადგომის ფართობზე.

III კლასის სისტემის სახელოს მისაერთებლები განთავსებულია 905.6 ქვეთავის შესაბამისად.

1707.10 ქვეთავის თანახმად:

- 905-ე ქვეთავის შესაბამისი III კლასის სახანძრო მილდგარის სახელოს თავაკი უზრუნველყოფილია შიგა გასასვლელის გზა-კიბეში, რომელიც უშუალოდ უკავშირდება სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიეს.

ხელის ცეცხლმაქრები:

- ხელის ცეცხლმაქრები განთავსებულია დაკავებულობების მომსახურე დერეფნებში ან უშუალოდ შესაბამის სივრცეებში, რაც შეესაბამება 906-ე ქვეთავის მოთხოვნებს. მათი განაწილება ხორციელდება 906.3(1) ცხრილის მიხედვით.

სახანძრო განგაშისა და ცეცხლაღმომჩენი სისტემები:

- 403.4.1 და 907.2.13.1 ქვეთავების თანახმად, ვინაიდან შენობა მაღლივია, იგი სრულად არის აღჭურვილი კვამლის ავტომატური აღმომჩენებით, რომლებიც მიერთებულია სახანძრო განგაშის ავტომატურ სისტემასთან.
- 403.4.2 და 907.2.13 ქვეთავების თანახმად, შენობაში კვამლის ავტომატური აღმომჩენი სისტემა და სახანძრო განგაშის სისტემა ურთიერთდაკავშირებულია და ერთობლივად ააქტიურებს საგანგებო ხმოვანი განგაშის საკომუნიკაციო სისტემას.
- სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემა, **რომელიც ააქტიურებს დამკავებელთა შეტყობინების სისტემას**, დამონტაჟებულია სც-2 ჯგუფისთვის, 907.2.9 ქვეთავის მოთხოვნების გათვალისწინებით. ასეთი კოლოფები განთავსებულია სც-2 ჯგუფის სართულების მომსახურე გასასვლელიდან 1.5 მეტრის საზღვრებში და მათთან მისადგომად არ არის საჭირო 60 მეტრზე მეტი მანძილის გავლა, რაც აკმაყოფილებს 907.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნას. საერთო გამოყენების ფართობზე, კერძოდ სც-2 ჯგუფისთვის განკუთვნილ დერეფნებში, დამკავებელთა შეტყობინების სისტემასთან ერთად მოწყობილია **მხედველობითი განგაშის მოწყობილობები**, რაც შეესაბამება 907.5.2.3.1 ქვეთავის მოთხოვნას. ასევე, სც-2 ჯგუფის საძინებლებში და საძინებლების შესასვლელებთან განთავსებულია კვამლზე მორეაგირე მაუწყებელი მოწყობილობები, 907.2.11.2 ქვეთავის მოთხოვნის შესაბამისად.

- იმის გათვალისწინებით, რომ სვ და სქ ჯგუფის ფართობები აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემითა და სახანძრო განგაშის ხელით სამართავი სისტემით, სახანძრო განგაშის სისტემა უნდა გააქტიურდეს საშხეფში წყლის ჭავლის გაშვებისთანავე ან სახანძრო განგაშის კოლოფის ამოქმედებისთანავე. შესაბამისად, სავაჭრო ფართობი აღჭურვილია დამკავებელთა შეტყობინების სისტემით. ვინაიდან სავაჭრო ფართი წარმოადგენს საერთო გამოყენების არეალს, იგი დამატებით უზრუნველყოფილია მხედველობითი განგაშის სისტემით, რაც აკმაყოფილებს 907.5 და 907.5.2.3.1 ქვეთავების მოთხოვნებს.

კვამლის საკონტროლო სისტემები:

- 909.20.5 ქვეთავის თანახმად, სართულებზე არსებულ შიგა გასასვლელის გზა-კიბეებზე მოწყობილია დაწნევის სისტემა.

სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი მისაერთებლები:

- საპროექტო შენობა აღჭურვილია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი სპეციალური მისაერთებლებით.
- სახანძრო მისაერთებლები განთავსებულია გარე კედლებზე (სახანძრო მანქანის მისადგომის მხრიდან), არის ადვილად დასანახი და ამოსაცნობი, რაც აკმაყოფილებს 912.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მისაერთებლებთან უზრუნველყოფილია 0.8 მ X 0.9 მ და 2 მეტრის სიმაღლის თავისუფალი სივრცე, რაც სრულად შეესაბამება 912.3.2 ქვეთავის მოთხოვნას.

სახანძრო ტუმბო:

- სახანძრო ტუმბო განთავსებულია საპროექტო შენობის -3.00 ნიშნულზე მდებარე სართულზე და სრულად აკმაყოფილებს 913-ე ქვეთავის მოთხოვნებს.

6. გასასვლელი საშუალებების შეფასება:

- გამომდინარე იქიდან, რომ საპროექტო შენობა განეკუთვნება მაღლივი შენობების კატეგორიას, ყველა სართულის გასასვლელ საშუალებად (403.5.1 და 1022 ქვეთავების მოთხოვნათა დაცვით) გამოყენებულია ერთმანეთისგან 9 მეტრზე მეტად დაშორებული და (909.20.5 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით) დაწნევადი 2 დამოუკიდებელი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. მესამე შიგა გასასვლელი გზა-კიბე, რომელიც დაგეგმარებულია 1022-ე ქვეთავის შესაბამისად, მიწისქვედა ავტოსადგომებს აკავშირებს ეზოსთან.
- შენობაში არსებული ყველა გზა-კიბე შესაბამისობაშია 1009-ე ქვეთავთან. კერძოდ:
  - 1009.2 ქვეთავის მიხედვით, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები გადის პირდაპირ შენობის გარეთ, ან გრძელდება შენობის გარე მხარემდე გასასვლელის გზა-დერეფნის საშუალებით, რომელიც აკმაყოფილებს 1023-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
  - 1009.4 ქვეთავის მიხედვით, შენობაში არსებული ყველა გზა-კიბის სიგანე არ არის 1.1 მეტრზე ნაკლები.
  - ყველა საფეხურის სიმაღლე მოთავსებულია 10-დან 18 სმ-მდე დიაპაზონში (არ აღემატება 18 სმ-ს და არ არის 10 სმ-ზე ნაკლები), ხოლო საბიჯელის სიღრმე არ არის 28 სმ-ზე ნაკლები, რაც სრულად აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
  - 1009.7.4 ქვეთავის მიხედვით, დაცულია საფეხურების ერთგვაროვნება.

    - გზა-კიბის ბაქნები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს და მათი სიგანე არ არის 1.2 მეტრზე ნაკლები.
    - 1009.10 ქვეთავის მიხედვით, დაცულია შვეული ამაღლების შეზღუდვა.
    - 1009.15 ქვეთავის მიხედვით, გზა-კიბეების ორივე მხარეს მოწყობილია სახელურები.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბეში არ არის განთავსებული ისეთი გაყვანილობები, რომელთა არსებობაც 1022.5 ქვეთავით იკრძალება.
- გასასვლელის გზა-დერეფანში არ არის განთავსებული ისეთი გაყვანილობები, რომელთა არსებობაც 1023.6 ქვეთავით იკრძალება.
- გზა-კიბის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად, დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალების გამტარუნარიანობის ფაქტორზე (5.1 მმ თითო დამკავებელზე). ამ გაანგარიშებით მიღებული კიბის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1009.4 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.10 მეტრი). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით სრულად არის დაკმაყოფილებული წესების მოთხოვნები — კიბის თავისუფალი სიგანე კედლიდან მოაჯირამდე განსაზღვრულია 1.16 მეტრით.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (დერეფნების) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად, დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე (3.8 მმ თითო დამკავებელზე). ამ გაანგარიშებით მიღებული დერეფნის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1018.2 ცხრილით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (1.20 მეტრი). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით სრულად არის დაკმაყოფილებული წესების მოთხოვნები — დერეფნის თავისუფალი სიგანე უტოლდება სულ მცირე 1.70 მეტრს.
- გასასვლელი საშუალებების სხვა კომპონენტების (კარების) გამტარუნარიანობის გამოსათვლელად, დაკავებულობის დატვირთვა გამრავლებულია გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის ფაქტორზე (3.8 მმ თითო დამკავებელზე). ამ გაანგარიშებით მიღებული კარის გამტარუნარიანობა გაცილებით ნაკლებია 1008.1.1 ქვეთავით განსაზღვრულ მინიმალურ თავისუფალ სიგანეზე (0.82 მეტრი). წარმოდგენილი არქიტექტურული პროექტით დაკმაყოფილებულია წესების მოთხოვნები და საპროექტო შენობის მომსახურე თითოეული გასასვლელი საშუალების კარის თავისუფალი სიგანე სულ მცირე 0.82 მეტრია.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბეების საზღვრებში, გასავლელის თავისუფალი სიმაღლე არ არის 2.05 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1009.5 ქვეთავის მოთხოვნებს.
- შიგა გასასვლელის გზა-კიბეების საზღვრებში სრულად არის გათვალისწინებული 1022.5 ქვეთავის მოთხოვნები. კერძოდ, შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს არ კვეთს ღიობები და გაყვანილობები, გარდა აუცილებელი გასასვლელი კარებისა, მოწყობილობებისა და გაყვანილობებისა, რომლებიც ესაჭიროება დამოუკიდებელ განიავებას, წნევის წარმომქმნელებს, საშხეფის მილსადენებს, სახანძრო მილდგარებს, სახანძრო განყოფილების საკომუნიკაციო სისტემის ელექტროგაყვანილობისთვის განკუთვნილ არხებსა და იმ ელექტროგაყვანილობის არხებს, რომლებიც ემსახურება უშუალოდ შიგა გასასვლელის გზა-კიბეებს.

- ყველა სართულზე დაცულია გასასვლელებს შორის უსაფრთხო მანძილი, 1015.2.1 ქვეთავის მე-2 გამონაკლისის შესაბამისად. ვინაიდან შენობა მთლიანად აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, გასასვლელებს შორის მანძილი დიაგონალის 1/3-ზე მეტს შეადგენს.
- კიბის საფეხურების ზომები შეესაბამება 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს (საბიჯელის სიღრმე არ არის 28 სმ-ზე ნაკლები, ხოლო ამაღლება არ აღემატება 18 სმ-ს). ამასთანავე, 1009.7.4 ქვეთავის თანახმად, დაცულია საფეხურების ერთგვაროვნება. ასევე, სრულად არის დაკმაყოფილებული საფეხურების ნაშვერების ზომისა (განსაზღვრულია 2 სმ-ით) და მათი ერთგვაროვნების მოთხოვნები, რაც შეესაბამება 1009.7.5.1 და 1009.7.5.2 ქვეთავებს.
- გზა-კიბის ბაქნები არ არის გზა-კიბის მარშის სიგანეზე ნაკლები; გარდა ამისა, კიბის მიმართულებით გაღებული კარი ბაქანს არ ამცირებს აუცილებელი სიგანის ნახევარზე მეტად. აღნიშნული სრულად აკმაყოფილებს 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- იატაკის დონეებს ან ბაქნებს შორის კიბის მარშის შვეული ამაღლება არ აღემატება 3.7 მეტრს, 1009.10 ქვეთავის თანახმად.
- კიბის მოაჯირები აკმაყოფილებს 1013-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
- კიბის სახელურები აკმაყოფილებს 1012-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
- შენობის სახურავზე მიდგომა ხორციელდება გზა-კიბის საშუალებით, 1009.16 ქვეთავის თანახმად.
- გასასვლელის ყველა კარი იღება გვერდითა ანჯამების საშუალებით, რაც შეესაბამება 1008.1.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- გასასვლელებთან მისადგომი სავალი მანძილი, ყველა სართულის შემთხვევაში, აკმაყოფილებს 1016.2 ცხრილით განსაზღვრულ მაქსიმალურ მაჩვენებლებს.
- ყველა იმ ფართში, სადაც განთავსებულია ავეჯი ან შესაბამისი ინვენტარი, გასავლელის სიგანე აკმაყოფილებს 1017.3 და 1017.5 ქვეთავების მოთხოვნებს.
- თითოეულ გასასვლელის კარს ემსახურება გასასვლელის ნიშანი, 1011.1 ქვეთავის თანახმად. გასასვლელის ნიშნების განათებულობა პროექტით გათვალისწინებულია. ამობურცული ნიშნებითა და ბრაილის შრიფტით შესრულებული წარწერა „გასასვლელი/EXIT“ მოწყობილია გასასვლელის ყველა გზა-კართან, რაც შეესაბამება 1011.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- გზა-კიბის ამოსაცნობი ნიშანი, მათ შორის ბრაილის შრიფტითა და ამობურცული სიმბოლოებით, მოწყობილია გზა-კიბის იატაკის დონეზე არსებულ თითოეულ ბაქანზე.

7. მისაწვდომობის შეფასება:

- 1103.1 ქვეთავის თანახმად, დროებითი ან მუდმივი ადგილები, შენობები, ნაგებობები, საშუალებები, ელემენტები და სივრცეები მისაწვდომი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებისთვის. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია — მთელი საპროექტო შენობა და მიწის ნაკვეთი მისაწვდომია.
- მისაწვდომი სვლაგეზი უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი სივრცეებიდან შენობის მთავარი შესასვლელების 60%-ზე მეტში და შენობის ყველა დაკავებულ დონეზე, 1105.1 ქვეთავის თანახმად.

- 1104.5 ქვეთავის თანახმად, მისაწვდომი სვლაგეზები უნდა ემთხვეოდეს საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკს ან მდებარეობდეს იმავე ფართობზე, სადაც საერთო გამოყენების მიმოსვლის ბილიკია განთავსებული. თუ მიმოსვლის ბილიკი შიგა სივრცეშია, მისაწვდომი სვლაგეზიც შიგა სივრცეში უნდა მოეწყოს. იმ შემთხვევაში, თუ მისაწვდომი სვლაგეზი მხოლოდ ერთია, ის არ უნდა კვეთდეს სამზარეულოებს, სათავსო ოთახებს, დასასვენებელ ოთახებს, საკუჭნაოებსა და სხვა მსგავს სივრცეებს. აღნიშნული მოთხოვნა საპროექტო დოკუმენტაციით დაცულია. მისაწვდომი სვლაგეზის პარამეტრები სრულად შეესაბამება „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებს *(იხილეთ სტანდარტის შეფასება)*.
- საპროექტო შენობის ყველა მთავარი შესასვლელი მისაწვდომია, რაც შეესაბამება 1105.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- საპროექტო შენობაში განთავსებულია ხანგრძლივად საცხოვრებელი ერთეულები. მათი 2% წარმოადგენს „**ა**“ ტიპის ერთეულს, ხოლო ყველა დანარჩენი — „**ბ**“ ტიპის ერთეულს, რაც შეესაბამება 1107.6.2.1.1 და 1107.6.2.1.2 ქვეთავების მოთხოვნებს. „**ა**“ და „**ბ**“ ტიპის ერთეულები დაგეგმარებულია „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ შესაბამისად *(იხილეთ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება)*.
- სავაჭრო ფართობებს ემსახურება მისაწვდომი ტუალეტის ოთახები, რაც შეესაბამება 1109.2 ქვეთავს.
- მისაწვდომ სვლაგეზზე მდებარე სამგზავრო ლიფტები სრულად ადაპტირებულია შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს „მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების“ მოთხოვნებს *(იხილეთ სტანდარტის შეფასება)*.
- შენობაში მისაწვდომ სივრცეებს ემსახურება შესაბამისი რაოდენობის მისაწვდომი გასასვლელი საშუალება, რაც შეესაბამება 1007.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- თითოეული აუცილებელი მისაწვდომი გასასვლელი საშუალება უწყვეტად მიემართება საზოგადოებრივი გზისკენ და მოიცავს მისაწვდომ სვლაგეზს, რაც შეესაბამება 1007.2 ქვეთავის მოთხოვნას.
- შშმ პირთათვის განკუთვნილ ყველა ლიფტთან (შენობიდან გამოსასვლელი დონის გარდა, ყველა სართულზე) მოწყობილია ორმხრივი კავშირის სისტემა, რაც აკმაყოფილებს 1007.8 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ორმხრივი კავშირის სისტემა მოწყობილია გზა-კიბის საზღვრებში. გასათვალისწინებელია, რომ ორმხრივი კავშირის სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს კავშირს ყველა საჭირო ლოკაციასა და ცენტრალურ საკონტროლო წერტილს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალურ საკონტროლო პუნქტში მუდმივად არ მორიგეობენ, ორმხრივი კავშირის სისტემას უნდა ჰქონდეს ავტომატური, სინქრონული სატელეფონო ციფრული დისკო, რომლითაც შესაძლებელია სამეთვალყურეო ადგილთან დაკავშირება ან 112-ზე დარეკვა. ორმხრივი კავშირის სისტემის გამოყენების წესები, დახმარების მიღების მითითებები და ადგილის ამოსაცნობი წარწერა გამოკრულია ორმხრივი კავშირის სისტემის მომიჯნავედ, გზა-კიბის საზღვრებში.
- მისაწვდომობის საერთაშორისო სიმბოლო განთავსებულია მისაწვდომ ტუალეტებთან, შესაბამისი ამობურცული სიმბოლოებითა და ბრაილის წარწერით, რაც შეესაბამება 1110.1 ქვეთავს.

8. შიგა გარემოს შეფასება:

- საძინებელი და საცხოვრებელი ერთეულების საცხოვრებელი ფართობები ნიავდება ბუნებრივად, ფანჯრებისა და კარების საშუალებით. გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი (გაღებულ მდგომარეობაში) აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს. ბუნებრივი განიავების ეს წყარო გადის საზოგადოებრივ სივრცეში და 1206-ე ქვეთავის შესაბამის ეზოში. ყოველივე აღნიშნული სრულად შეესაბამება 1203.4, 1203.4.1 და 1203.4.3 ქვეთავებს.
- რაც შეეხება საძინებელი და საცხოვრებელი ერთეულების აბაზანებსა და ტუალეტის ოთახებს, ეს სივრცეები ნიავდება მექანიკურად, რაც შეესაბამება 1203.4.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- მიწისქვედა სართულზე დაგეგმარებული ყველა სივრცე ნიავდება მექანიკურად.
- კომერციული და მისი დამხმარე ფართობები ნიავდება როგორც მექანიკურად, ისე ბუნებრივად. გარე გასაღები ღიობების ჯამური ფართობი (გაღებულ მდგომარეობაში) აღემატება გასანიავებელი იატაკის ფართობის 4%-ს; რაც შეეხება აღნიშნული სივრცეების მომსახურე ტუალეტის ოთახებს, ისინი ნიავდება მექანიკურად. ყოველივე აღნიშნული სრულ შესაბამისობაშია 1203-ე ქვეთავთან.
- მექანიკურად ნიავდება საერთო სარგებლობის დერეფნებიც, რაც ასევე შეესაბამება 1203-ე ქვეთავს.
- გასასვლელის საავარიო განათება მოწყობილია გასასვლელი საშუალებების ყველა ნაწილში (გზა-კიბის თითოეული სართულის დონეზე, გზა-კიბის მომსახურე ვესტიბიულში და საერთო სარგებლობის დერეფნებში თითოეული სართულის დონეზე). ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1205.5 და 1006.1 ქვეთავების მოთხოვნებს.
- ბუნებრივი განიავებისა და განათების მიზნით მოწყობილი ღიობები გადის ეზოში, რომელიც განთავსებულია იმავე საკუთრებაში, რომელზეც დგას შენობა. ეზოს სიგანე აკმაყოფილებს 1206.2 ქვეთავის მოთხოვნას და აღემატება ამ შემთხვევისთვის სავალდებულო მინიმალურ 3.5 მეტრიან მანძილს.
- საცხოვრებელი სივრცეების არცერთი ზომა (გეგმაში) არ არის 2.2 მეტრზე ნაკლები. სამზარეულოებს გააჩნიათ 90 სმ-ზე მეტი სიგანის თავისუფალი გასავლელი, რაც შეესაბამება 1208.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- თითოეული დაკავებული და გამოყენებადი სივრცის ჭერის სიმაღლე არ არის 2.3 მეტრზე ნაკლები, რაც შეესაბამება 1208.2 ქვეთავს.
- ყველა საძინებელ ერთეულს აქვს არანაკლებ 14.0 კვ.მ ფართობის ერთი ოთახი მაინც, რაც შეესაბამება 1208.3 ქვეთავს.

9. გარე კედლების შეფასება:

- გარე კედლის ატმოსფერული ზემოქმედებისგან დამცავი კონვერტი არ მოეთხოვება ბეტონით ან წყობით აგებულ კედლებს, 1403.2 ქვეთავის პირველი გამონაკლისის თანახმად. საპროექტო შენობის გარე კედლები წარმოადგენს ბეტონის ბლოკის ანაწყობს, შესაბამისად, გარე კედლისთვის არ არის სავალდებულო ატმოსფერული ზემოქმედებისგან დამცავი კონვერტის, მათ შორის 1404.2 ქვეთავის შესაბამისი წყალმედეგი ზღუდის მოწყობა.
- გარე კედლების ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 602-ე ცხრილის მოთხოვნათა სრული დაცვით.
- რაც შეეხება ორთქლშემაკავებლებს, მათი მოწყობა სავალდებულოა მე-5, მე-6, მე-7, მე-8 და მე-4 (საზღვაო) კლიმატურ ზონებში. საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება სამი კლიმატური ზონა (1-ლი, მე-3 და მე-7), შესაბამისად, მხოლოდ ქვეყნის ჩრდილოეთის მაღალმთიან რეგიონებშია სავალდებულო შენობა-ნაგებობებში ორთქლშემაკავებლების მოწყობა. საპროექტო შენობაში ორთქლშემაკავებლების მოწყობა არ არის სავალდებულო, 1405.3 ქვეთავის თანახმად.
- რაც შეეხება ჰიდროიზოლაციას, იგი გათვალისწინებულია გარე კედლისა და სახურავის გადაკვეთის არეალებში, რაც აკმაყოფილებს 1405.4 ქვეთავის მოთხოვნებს. ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე შესაბამისი მითითებები დეტალურად არის ასახული არქიტექტურული პროექტის აე-501 ფურცელზე, რაც სავალდებულოდ დასაცავია მშენებლობის პროცესში.

10. სახურავის ანაწყობებისა და სახურავზედა ნაგებობების შეფასება:

- ჰიდროიზოლაცია მოწყობილია კედლისა და სახურავის გადაკვეთის ადგილებში, რაც შეესაბამება 1503.2.1 ქვეთავის მოთხოვნებს. ჰიდროიზოლაციის მოწყობის თაობაზე შესაბამისი მითითებები ასახულია არქიტექტურული პროექტის აე-501 ფურცელზე, რაც სავალდებულოდ დასაცავია მშენებლობის პროცესში.
- სახურავის ბურულის კლასიფიკაცია უნდა განისაზღვროს A კლასის კატეგორიით. A კლასის სახურავის ანაწყობებად მიიჩნევა ის ანაწყობები, რომლებიც უძლებს ძლიერი ცეცხლის ზემოქმედებას.

11. წყალსადენი სისტემების შეფასება:

- სავაჭრო და საქმიან სივრცეებში თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობის დასადგენად, დამკავებელთა საერთო რაოდენობა გაყოფილია ორზე. მოწყობილობების აუცილებელი რაოდენობის გამოსათვლელად, მოწყობილობების პროპორცია თითოეული მოწყობილობის ტიპისთვის მიესადაგება თითოეული სქესის დამკავებელთა რაოდენობას, 1602.1 ცხრილის შესაბამისად. 1602.1 ცხრილის გამოყენებისას მიღებული წილადი რიცხვები დამრგვალებულია მომდევნო მთელ რიცხვამდე. ყოველივე აღნიშნული სრულად შეესაბამება 1602.1.1 ქვეთავის მოთხოვნებს.

- თითოეული საცხოვრებელი ერთეული უზრუნველყოფილია 1602.1 ცხრილის შესაბამისი მინიმალური ფიქსირებული წყალსადენი მოწყობილობებით: უნიტაზით, ხელსაბანით, აბაზანით ან საშხაპითა და სამზარეულოს ნიჟარით. ავტომატური სარეცხი მანქანის მისაერთებლების მინიმალური რაოდენობა განსაზღვრულია ერთი მისაერთებლით ყოველ 20 საცხოვრებელ ერთეულზე.
- სავაჭრო ფართებში განთავსებული ტუალეტები უზრუნველყოფილია სათანადო ნიშნებით, მათ შორის მისაწვდომი ნიშნებითაც, რაც შეესაბამება 1602.4 ქვეთავის მოთხოვნებს.

12. ლიფტის შეფასება:

- საპროექტო დოკუმენტაციით დაკმაყოფილებულია 1701.5 ქვეთავის მოთხოვნა — შენობას ემსახურება 2 ლიფტი, რომელიც ვრცელდება მთელ შენობაში და ემსახურება ყველა სართულს.
- ორივე ლიფტი არის სახანძრო-სამაშველო ტიპის (1600 კგ), რომელიც ყველა სართულზე ვრცელდება. ამ ლიფტებს ემსახურება ერთი საერთო ფოიე, რომელიც შემოზღუდულია 1-საათიანი ცეცხლმედეგობის კედლით და დერეფანთან დაკავშირებულია 45-წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარით. აღნიშნული ფოიე ასევე დაკავშირებულია შიგა გასასვლელის გზა-კიბესთან 90-წუთიანი ცეცხლმედეგობის მქონე კარით. ლიფტები სრულად აკმაყოფილებს 1707-ე ქვეთავის მოთხოვნებს.
- ლიფტების შახტები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი ზღუდეებით, რომელთა ცეცხლმედეგობაც განსაზღვრულია 2 საათით. აღნიშნული შეესაბამება 1702.1 ქვეთავის მოთხოვნას; ხოლო ლიფტის შახტის შემომზღუდავის ღიობი დაცულია მე-7 თავის მოთხოვნათა შესაბამისად. ამ ღიობში მოწყობილი კარის ცეცხლმედეგობა განსაზღვრულია 90 წუთით, რაც შეესაბამება 1702.1.1 ქვეთავის მოთხოვნას.
- ყველა სართულზე, თითოეული ლიფტის გამოძახების სადგურთან განთავსებულია სტანდარტული დიზაინით შესრულებული გრაფიკული ნიშანი, რომელიც დამკავებლებს აფრთხილებს, რომ ხანძრისას უნდა გამოიყენონ გასასვლელის გზა-კიბე და არა ლიფტი. ნიშანზე განთავსებულია წარწერა: „ხანძრის დროს ლიფტები არ მუშაობს. ისარგებლეთ კიბით“, რაც შეესაბამება 1702.3 ქვეთავს.
- საგანგებო ვითარებისას სახანძრო-სამაშველო დანაყოფს ყველა იატაკზე მოხვედრა შეუძლია ლიფტის გამოყენებით. ლიფტის კაბინაში შესაძლებელია 60 სმ × 2.15 მ ზომის, არანაკლებ 13 სმ რადიუსის მქონე კუთხეებიანი საკაცის განთავსება გახსნილ, თარაზულ მდგომარეობაში. ლიფტთან დატანილია სასწრაფო სამედიცინო დახმარების საერთაშორისო სიმბოლო („სიცოცხლის ვარსკვლავი“). სიმბოლოს სიმაღლე 75 მმ-ია და იგი განთავსებულია ლიფტის შახტის შემომზღუდავის კარის ჩარჩოს შიგნით, ორივე მხარეს. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება 1702.4 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ლიფტის სამანქანე ოთახთან მიდგომა ხორციელდება გზა-კიბის საშუალებით, რაც შეესაბამება 1706.1 ქვეთავის მოთხოვნას.

- ლიფტის სამანქანო ოთახი ცეცხლმედეგი ზღუდეებითა და თარაზული ანაწყობით გამიჯნულია მომიჯნავე ფართებისგან და ასეთი გამმიჯნავის ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია 2 საათით, ხოლო ცეცხლმედეგ ზღუდეში მოწყობილი კარის ანაწყობის ცეცხლმედეგობის ხარისხი უტოლდება 90 წუთს, რაც შეესაბამება 1706.4 ქვეთავის მოთხოვნას.
- 1707.10 ქვეთავის მიხედვით, 905-ე ქვეთავის შესაბამისი III კლასის სახანძრო მილდგარის სახელოს თავაკი უზრუნველყოფილია შიგა გასასვლელის გზა-კიბეში, რომელიც პირდაპირ უკავშირდება სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი ლიფტის ფოიეს.
- ლიფტის შახტა ნიავდება 1704-ე ქვეთავის შესაბამისად.

13. ავტომობილებთან დაკავშირებული დაკავებულობების შეფასება:

- საპროექტო შენობაში მოწყობილია შემოზღუდული ავტოსადგომი -2 და -1 სართულებზე.
- ავტოსადგომი კლასიფიცირებულია, როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების ავტოსადგომი, 406.4 ქვეთავის თანახმად.
- ავტოსადგომების სართულებზე, ავტომობილის თავისუფალი გასავლელის სიმაღლე იატაკის დონიდან არ არის 2.15 მეტრზე ნაკლები, რაც აკმაყოფილებს 406.4.1 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტოსადგომი გამიჯნულია სხვა დაკავებულობებისგან 508.1 ქვეთავის შესაბამისად.
- ავტოსადგომი უზრუნველყოფილია მექანიკური განიავების სისტემით, რაც აკმაყოფილებს 406.6.2 ქვეთავის მოთხოვნებს.
- ავტოსადგომი უზრუნველყოფილია ავტოსაშხეფი სისტემით, 406.6.3 ქვეთავის თანახმად.
